ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და ,,ჩოხატაურის# მუნიციპალიტეტის# გამგეობის# თანამდებობის პირთა და სხვა # მოსამსახურეთა# # თანამდებობრივი# სარგოს# განაკვეთების#განსაზღვრის#შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების პროექტების შემუშავება დაკავშირებულია ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებთან, რომლის საფუძველზეც საკითხები, რომლებიც ეხება საჯარო მოხელის თანამდებობრივი რანგისა და კლასის განსაზღვრას - წესრიგდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. კერძოდ ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის #215 დადგენილების შესაბამისად დამტკიცდა პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებები და იერარქიულ რანგებში განაწილების წესი, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალი.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე საჯარო დაწესებულებებს დაევალათ 2017 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებების ცვლილება და მათი იერარქიულ რანგებში განაწილება.

მისაღები დადგენილების პროექტის მომზადებამდე ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში

განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის #215 დადგენილების თანახმად მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილი კომისიისა და ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მონაწილეობით, ფუნქციათა ერთობლიობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, დადგინდა მოხელის თანამდებობისადმი ფუნქციათა ერთობლიობის კუთვნილება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე მითითებული თანამდებობები 2017 წლის 1 ივლისიდან გარდაიქმნა პროფესიულ საჯარო მოხელეებად.

ოთხი შტატგარეშე თანამშრომლის შტატში გადაყვანის შემთხვევაში შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფა მოხდება საქონელისა და მომსახურების მუხლიდან, კერძოდ საქონელისა და მომსახურების მუხლს გამოაკლდება 4 X 600 X 6= 14 400 ლარი და დაემატება შრომის ანაზღაურების მუხლს, აგრეთვე შრომის ანაზღაურების მუხლს დაემატება დღეს არსებულ წამყვანი სპეციალისტისა და შტატგარეშე თანამშრომლის ხელფასის სხვაობა - 4 X 50 X 6= 1200 ლარი. თანაშემწის შტატის გაუქმებისა და განყოფილების უფროსის შტატის შექმნის შემთხვევაში შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზრდება 50 X 6= 300 ლარით.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: **ირაკლი კუჭავა**

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

პროექტი

დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის და 53-ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის #215 დადგენილების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართისა (თან ერთვის).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის #7 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

პროექტის მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მომსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ"- დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ე" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრა.

პროექტის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 53-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს გამგებლის წარდგინებით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

დადგენილების პროექტი ასევე შესაბამისობაშია ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტთან, რომლის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

დადგენილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის #215 დადგენილება, რომლის საფუძველზეც საჯარო დაწესებულებებს დაევალათ 2017 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებების ცვლილება და მათი იერარქიულ რანგებში განაწილება.

იურიდიული განყოფილების უფროსი: **ბექა შენგელია**